ოეთიკის პროგრამა
იუნიონ გრადუეით კოლეჯი
მაუნთ სინაის მედიცინის სკოლა

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება საგრანტო პროექტთან - „კვლევის ეთიკის სისტემის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" დაკავშირებით ადგენს პირობებს, რომელიც უზრუნველყოფილია თანდართულ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტში (დანართი №1), რომლითაც „იუნიონ გრადუეით კოლეჯის ბიოეთიკისა და კლინიკური ლიდერობის ცენტრი", წარმოდგენილი შონ ფილპოტ-ჯონსის მიერ, გადასცემს გრანტს 10,800 აშშ დოლარის ოდენობით საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან გამყრელიძის მიერ, ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით.

პროექტის განხორციელება და ბიუჯეტი

დაწყების თარიღი – 1 ოქტომბერი 2014წ.

დასრულების თარიღი – 31 სექტემბერი 2015წ.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

სახელწოდება: „კვლევის ეთიკის სისტემის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში"

დამფინანსებელი ორგანიზაცია: „იუნიონ გრადუეით კოლეჯი", აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების, ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის გრანტის ეგიდით (R25TW007085: განათლება კვლევის ეთიკაში: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა)

პროექტის მიზნები და ამოცანები

საერთო მიზანი: ხელი შეუწყოს კვლევის ეთიკის სფეროში პოლიტიკის ცვლილებების ინიცირებას საქართველოში კვლევის ეთიკის სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

სპეციფიკური მიზანი: აწარმოოს მომავალი პოლიტიკის ანალიზი, რომლის მიზანია სრულყოფილი ინსტრუმენტის შემუშავება პოლიტიკის ნარკვევის სახით, რომელიც

ოყენებული იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პოლიტიკის ცვლილების პროცესის დასაწყებად.

ამოცანები: 1. მნიშვნელოვანი შეხვედრების ორგანიზება გადაწყვეტილების მიმღებ წამყვან პირებთან;

2. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური ნარკვევის შემუშავება კვლევის ეთიკის კომიტეტის სისტემის, სტრუქტურისა და რეგულაციის მექანიზმების კონცეფციის შესახებ;
3. პოლიტოკოსების ხარისხობრივი კვლევის ჩატარება; და
4. პირველი კვლევის ეთიკის კონფერენციის/სემინარის ორგანიზება კვლევის ეთიკის სისტემის რეფორმირებაზე საქართველოში.

მონაცემები დაფინანსების შესახებ:

<u>დაფინანსების კალკულაცია (აშშ დოლარი)</u>

ხელფასები	7,589 აშშ დოლარი
საკონსულტაციო მომსახურება	811 აშშ დოლარი
სხვა ხარჯები (კონფერენცია/სემინარი)	1,600 აშშ დოლარი
არაპირდაპირი ხარჯები	800 აშშ დოლარი
საერთო თანხა	**10,800 აშშ დოლარი**

გადახდის პროცედურები

საერთო გადახდა, რომელიც არ აღემატება 10,800 აშშ დოლარს, განაწილდება კვლევის დასაწყისში (წინამდებარე ხელშეკრულების დაწყებისას).

შეზღუდვები

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი თანახმაა, დაემორჩილოს თანდართულ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტში (დანართი №1) მოცემულ ვადებსა და პირობებს, მათ შორის:

1. „იუნიონ გრადუეით კოლეჯის" გრანტების მართვის ოფიცრისგან წინასწარი წერილობითი დადასტურების მიღება ზემოთ ხსენებული პროექტის პერსონალში ან შინაარსში ნებისმიერი ცვლილებისთვის.
2. აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების მხარდაჭერის დადასტურება ყველა პუბლიკაციაში, პრეს რელიზსა თუ სხვა დოკუმენტში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შემუშავებულია ზემოთ ხსენებული პროექტის შედეგად;

საქართველოს და აშშ-ს ყველა რეგულაციასთან და პოლიტიკასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების ნებისმიერ კვლევასთან მიმართებაში, რომელიც წარიმართება ზემოთ ხსნებული პროექტით;

4. ნებისმიერ სხვა რეგულაციასთან და გარანტიებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ძირითადი გრანტის კვლევის ვადებისა და პირობების შესაბამისად;
5. „იუნიონ გრადუეით კოლეჯის" გრანტების მართვის ოფიცრისთვის ყოველწლირად (ან მოთხოვნისამებრ) დეტალური ანგარიშის წარდგენა;
6. პროექტის ხელშემშლელი ნებისმიერი დაბრკოლების გრანტის გამცემისთვის შეტყობინება; და
7. საერთო ხარჯების საბოლოო ანგარიშის უზრუნველყოფა, აღნიშნული როგორც „საბოლოო", რომელიც წარსადგენია ბიუჯეტის პერიოდის დასრულებიდან 60 დღის განმავლობაში. ყველა დანახარჯი უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი გრანტის ბიუჯეტს. იმ შემთხვევაში თუ გრანტის მიმღებს აქვს დარჩენილი გასახარჯი თანხები ბიუჯეტის პერიოდის ბოლოს, მათ უნდა მოითხოვონ „არა-ანაზღაურებადი" გაგრძელება ბიუჯეტის პერიოდის დასრულებამდე 30 დღის განმავლობაში.

წინამდებარე ხელშეკრულებაში ან თანდართულ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტში მოცემული არცერთი ვადა თუ პირობა არ უნდა იყოს მიჩნეული „იუნიონ გრადუეით კოლეჯისთვის" რაიმე ფინანსური თუ ლეგალური ვალდებულების დაწესებად.

ვეთანხმები წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ამირან გამყრელიძე, მედ. დოქტორი, პროფ.
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი
საქართველო, თბილისი 0186,
მ. ასათიანის ქ. 9
ტელ/ფაქსი: +992 32 2311755
ელ-ფოსტა: a.gamkrelidze@ncdc.ge

პროგრამის ოფიციალური პირი

/ხელმოწერილია/
შონ ფილპოტ-ჯონსი
„იუნიონ გრადუეით კოლეჯის ბიოეთიკისა და კლინიკური ლიდერობის ცენტრის" დირექტორი
აშშ, ნიუ იორკი 12308,
სქენექთედი, ნოთ ტერას 80
ელ-ფოსტა: philpots@uniongraduatecollege.edu

GEORGIA. MICRO BUSINESS "ANA CHEISHVILI" 60001026246

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141082423
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.10.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიამ ოძელაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	გამსახურდიას გამზირი 7ა-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725572
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41508736997414

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მე, საქართველოს ნოტარიუსი მარიამ ოძელაშვილი (რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. 7 ა-ს მიმდებარე ტერიტორია)
ვამოწმებ ინგლისური ენების დიპლომირებული ანა ჭეიშვილის (დაბადებული 08.03.1984 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, მ. მამარდაშვილის ქ. №21ა, პირადი № 60001026246, პირადობის მოწმობა №დ 1118329, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ 17.12.2007 წელს) ხელმოწერის სინამდვილეს.
თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA № 000124 გაცემული თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2005 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით და მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის (ინგლისური და ესპანური ენები) კვალიფიკაცია.
მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე ხელმოწერის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების №507-ის 31-ე მუხლისა), და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების №507-ის 39-ე მუხლისა):
– სულ გადახდილია 4 ლარი.

ნოტარიუსი **მარიამ ოძელაშვილი**

[redacted]

ასლი
6 (ექვს)
ფურცელზე